საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

KONRAD ADENAUER STIFTUNG

სამხრეთ კავკასია:
რეგიონული თანამშრომლობის აღორძინება თუ ავტორიტარული რეგიონალიზმის ხელშეწყობა?

ტრეისი ჯეიმანი

თბილისი,
ივნისი, 2024

პოლიტიკის დოკუმენტი
გამოცემა #44 | ივნისი 2024

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ის ასევე ხელს უწყობს საზოგადოების მონაწილეობას სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის და დემოკრატიის განვითარების პროცესებში. ორგანიზაციის მიზანია, გახდეს კვლევებისა და პოლიტიკური ინოვაციების წამყვანი ცენტრი საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში. ამ მიზნის მისაღწევად GIP ატარებს შესაბამის სიღრმისეულ კვლევებს, ვრცელ საინფორმაციო სამუშაოს ფართო საზოგადოებასთან და ხელს უწყობს თამამ ინოვაციებს პოლიტიკურ დისკურსსა და პოლიტიკურ მსჯელობაში.

პუბლიკაცია მომზადებულია კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისთან თანამშრომლობით. მოცემული პუბლიკაციის შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას იმგვარად გაგებული, რომ ასახავს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის და ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი

ტრეისი ჯერმანი, "სამხრეთ კავკასია: რეგიონული თანამშრომლობის აღორძინება თუ ავტორიტარული რეგიონალიზმის ხელშეწყობა?," პოლიტიკის დოკუმენტი No.44, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ივნისი 2024.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2024

საქართველო, თბილისი 0107, ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 13

ტელ: +995 599 99 02 12

ელ. ფოსტა: info@gip.ge

www.gip.ge

სარჩევი

3 მოკლე შინაარსი

4 შესავალი

5 სამხრეთ კავკასია, როგორც რეგიონი

6 სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების გაერთიანება

10 რეგიონული დინამიკა და რუსეთის შეჭრა უკრაინაში

12 დაბრკოლებები მდგრადი მშვიდობისა და სტაბილურობისთვის

13 დასკვნა და რეკომენდაციები

14 ბიბლიოგრაფია

ავტორის შესახებ

ტრეისი ჯერმანი არის RUSI-ის კონფლიქტებისა და უსაფრთხოების პროფესორი თავდაცვის კვლევების დეპარტამენტში და უფროსი ასოცირებული სტიპენდიანტი. მისი კვლევა ფოკუსირებულია რუსეთის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე, განსაკუთრებით რუსეთის ძალის გამოყენებაზე და მისი სამეზობლოს საპასუხო ნაბიჯებზე. ასევე ის აქცენტს აკეთებს რუსეთის სტრატეგიულ კულტურასა და სამხედრო აზროვნებაზე. ის საუბრობს რუსულად და პოსტსაბჭოთა სივრცეში მოგზაურობის და სიტუაციის ადგილზე შეწსავლის დიდი გამოცდილება აქვს. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს რუსეთის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას, რუსეთის შეხედულებებს კონფლიქტის ცვალებადი ხასიათის შესახებ, რუსული სტრატეგიული კულტურისა და ძალის გამოყენებაზე პოსტსაბჭოთა ეპოქაში. ის ასევე იკვლევს კონფლიქტსა და უსაფრთხოებას კავკასიისა და კასპიის რეგიონებში. მისი ამჟამინდელი კვლევა ეფუძნება რუსეთის შეხედულებებს კონფლიქტის ცვალებადი ხასიათის შესახებ და იმას, თუ რა გაკვეთილები გამოიტანა რუსეთმა დასავლეთის სამხედრო აქტივობიდან ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში.

მოკლე შინაარსი

ბოლო წლების მოვლენებმა კიდევ უფრო მეტად გამოაჩინა, რომ სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო - საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი - ვერ ახერხებს იმაზე მეტად დაუახლოვდეს ერთიანი პოლიტიკური რეგიონის რაიმე ფორმით არსებობას, ვიდრე 1990-იანი წლების დასაწყისში. სამივე სახელმწიფოს შორის პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება და თანამშრომლობა კვლავ გამონაკლის შემთხვევებში გვხვდება. დღემდე მხოლოდ მცირედი ნიშნები ჩანს იმისა რომ დინამიკა ნამდვილ რეგიონულ თანამშრომლობაში გადაიზარდოს. პოლიტიკის დოკუმენტი განიხილავს, აძლევს თუ არა ამჟამინდელი რეგიონული (და გლობალური) დინამიკა სახელმწიფოებს უნიკალურ შესაძლებლობას, განახორციელონ რეგიონული თანამშრომლობისა და ინტეგრაციის ინიციატივები. დიდი ძალების კონკურენციის, მზარდი გლობალური გაურკვევლობის, არასტაბილურობისა და უფრო ფართო რეგიონში ცვალებადი გეოპოლიტიკური კონტექსტის ფონზე, სამ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, მისდიონ საკუთარ ნებას და ვითარება ურთიერთსასარგებლოდ გამოიყენონ და ერთად იმუშაონ სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. საერთო მიზნებმა შესაძლოა, ხელი შეუწყოს დიდი ძალების კონკურენციის ზეგავლენის შემცირებასა და ყოფილ მოწინააღმდეგეებს შორის ნდობის გაღვივებას.

შესავალი

ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სამხრეთ კავკასიასა და უფრო ფართოდ შავი ზღვის რეგიონში, რაც რუსეთის მიერ უკრაინაში მიმდინარე ომმა და 2023 წლის სექტემბერში აზერბაიჯანის მიერ მთიანი ყარაბაღის დაკავებამ გამოიწვია. ამ მოვლენებმა - 2020 წლის ყარაბაღის მეორე ომთან ერთად - ხაზი გაუსვა განგრძობად დამოკიდებულებას, - ერთი მხრივ, ძალაუფლების დამოკიდებულებას სამხედრო ინსტრუმენტებზე, და მეორე მხრივ, ძალის გამოყენებას სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, რაც ხელს უწყობს რეგიონის უსაფრთხოების გარემოს გაუარესებასა და მზარდ პოლარიზაციას. ასევე, მოხდა ძვრები გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში, რამეთუ სამი სახელმწიფო სხვა აქტორებთან ურთიერთობების ხელახლა აწონ-დაწონის პროცესშია, რაც იწვევს სამხრეთ კავკასიის რეგიონული განლაგების ცვლილებას: სომხეთი გაუცხოებულია რუსეთისგან, მაშინ როცა საქართველო, რომელიც უფრო ფრთხილ მიდგომას იჩენდა, რათა მისი პროვოცირება არ მოეხდინა, დასავლეთს შორდება, - და ეს ტენდენცია 2024 წელს დაჩქარდა. ამასთან, ევროკავშირი სულ უფრო აქტიური ხდება რეგიონში, ირჩევს პროაქტიულ მიდგომას სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის შუამავლის როლში და აძლიერებს თანამშრომლობას აზერბაიჯანთან ბუნებრივი აირის იმპორტთან დაკავშირებით.

ეს ცვლილებები ბადებს კითხვას: აძლევს თუ არა სამხრეთ კავკასიაში არსებული რეგიონული დინამიკა სახელმწიფოებს უნიკალურ შესაძლებლობას, რეგიონული თანამშრომლობისა და ინტეგრაციის ინიციატივები განახორციელონ? 2023 წლის ბოლოს, სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა წარადგინა რეგიონული თანამშრომლობის ახალი გეგმა, „მშვიდობის გზაჯვარედინი“, რომელიც ფოკუსირებულია კავშირებადობაზე და ამ გზით სურს, გამოიყენოს სამხრეთ კავკასიის მოსახერხებელი გეოგრაფიული მდებარეობა, როგორც სახმელეთო ხიდი აზიასა და ევროპას შორის. საქართველოს ექს-პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა გამოთქვა თავისი ქვეყნის მზადყოფნა, ითანამშრომლოს სომხეთთან და აზერბაიჯანთან სამხრეთ კავკასიაში ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების მიზნით (Mandaria, 2023). თუმცა, ამ პოზიტიური რიტორიკის მიუხედავად, მცირეა ჭეშმარიტი რეგიონული თანამშრომლობის ნიშნები, რომელიც სამივე სახელმწიფოს მოიცავს.

რეგიონში გეოპოლიტიკური რეალობის ცვლა უკრაინაში რუსეთის ომმა გააქტიურა. ამან ხელი შეუწყო თურქეთის, ჩინეთისა და ირანის, ისევე როგორც ევროკავშირის გავლენისა და ჩართულობის ზრდას, რაც საფრთხეს უქმნის რუსეთის აქამდე დომინანტურ პოზიციას რეგიონში. როგორც ჩანს, „ევროპეიზაციას“ „ისტერნიზაციის“ საფრთხე ემუქრება და არსებობს საშიშროება, რომ რეგიონული ერთიანობა ავტორიტარული პრაქტიკისკენ მიბრუნებამ და დემოკრატიული დაპირებებით იმედგაცრუებამ წარმოშვას.



სამხრეთ კავკასია, როგორც რეგიონი

სამხრეთ კავკასიაში ბოლო წლების განმავლობაში მომხდარი ყველა ცვლილების მიუხედავად, უწყვეტია რეგიონის მდგომარეობა - იგი ძველებურად დაყოფილია. სამხრეთ კავკასიას აღწერენ, როგორც პოსტსაბჭოთა ევრაზიაში არსებულ „გახლეჩილ რეგიონებს შორის ყველაზე ცნობილს“ (Broers 2018), - ხანგრძლივი უთანხმოებით როგორც სამ სახელმწიფოს შორის, ასევე ამ სახელმწიფოებს შიგნით. ბოლო წლების მოვლენებმა გაამძაფრა ეს არსებული ხარვეზები, რაც იმას ნიშნავს, რომ სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო, როგორც ჩანს, ვერაფრით მიუახლოვდა რაიმე ერთიანი პოლიტიკური რეგიონის არსებობას, ვიდრე 1990-იანი წლების დასაწყისში. სამივე სახელმწიფოს შორის პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება და თანამშრომლობა კვლავ გამონაკლისად რჩება.

მცირე კონსენსუსი არსებობს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს რეალურად „რეგიონი“, რამეთუ არ არსებობს ბუნებრივი რეგიონები: ყველა მათგანი სოციალურად კონსტრუირებულია და, შესაბამისად, პოლიტიკურად სადავო (Nye 1973, 80). მნიშვნელოვანი ის არის, თუ როგორ აღიქვამენ და განმარტავენ პოლიტიკური აქტორები რეგიონის იდეას და „რეგიონობის“ ცნებას (Hurrell 1995, 38-9). ეს გარკვეულწილად ხსნის, თუ რატომ არის ყოველთვის რთული, გავიგოთ სამხრეთ კავკასია, როგორც ერთიანი პოლიტიკური რეგიონი. გეოგრაფიული სიახლოვისა და მეზობლობის მიუხედავად, სამ სახელმწიფოს შორის ურთიერთქმედების და ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი შეზღუდულია და, როგორც წესი, მხოლოდ ორმხრივი. მცირეა „რეგიონულობის“ გაგებაც სამ სახელმწიფოს შორის, - ყველა ცდილობს მოკავშირეობას სხვა რეგიონულ აქტორებთან, = რუსეთთან, თურქეთთან, ირანთან და დასავლეთთან (განსაკუთრებით აშშ-სთან და ევროკავშირთან). რეგიონული ერთიანობა შეიძლება ჩამოაყალიბოს სხვადასხვა ელემენტის სპექტრმა, მათ შორის ისეთმა სოციალურმა ელემენტებმა, როგორებიცაა ეთნიკური წარმომავლობა, რელიგია და ისტორია, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და სავაჭრო ქსელები, რეჟიმის ტიპი, იდეოლოგია თუ ინსტიტუციური ჩარჩოები. ამ ელემენტებმა შეიძლება ხელი შეუწყოს საერთო იდენტობის შეგრძნებას და უბიძგოს კოლექტიურ ქმედებებს კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში. თუმცა, რეგიონული ერთიანობა და კოლექტიური ქმედება სულაც არ არის დაფუძნებული მხოლოდ პოზიტიურ ურთიერთდამოკიდებულებაზე - ის ასევე შეიძლება ჩამოყალიბდეს ისეთ უარყოფით ტენდენციებზე დაყრდნობით, როგორიცაა მტრობა ან ავტორიტარიზმი.

არსებობს გარკვეული თანამშრომლობა და შიდარეგიონული გაცვლა-გამოცვლა, განსაკუთრებით სატრანზიტო ინფრასტრუქტურისა და სამოქალაქო საზოგადოების დონეზე, მაგრამ ეს ტენდენცია მხოლოდ ზოგად გეოპოლიტიკურ რეალობასა და სამი სახელმწიფოს განსხვავებულ სტრატეგიულ ორიენტაციას აირეკლავს. გარდა ამისა, მას უფრო ხშირად ნეგატიური ფაქტორები, ისევე როგორც გარე დინამიკა განაპირობებს, ვიდრე „რეგიონად“ გაერთიანების რაიმე დადებითი შინაგანი სურვილი. არსებობს მნიშვნელოვანი თანამშრომლობის მაგალითები ორმხრივ დონეზე, მაგრამ იგი უკიდურესად შეზღუდულია პან-რეგიონულ დონეზე. სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს მთავრობების მიერ დანერგილი ინკლუზიური რეგიონალიზმის პროექტები სუსტი და არაეფექტურია და მათში რუსეთი დომინირებს, რისი მაგალითებიცაა ევრაზიის ეკონომიკური კავშირი (EEU) ან კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია (CSTO). და, მაინც, რეგიონალიზაციის პროცესი შედარებით ძლიერია, რასაც მოწმობს მიგრაცია, სავაჭრო და საინვესტიციო ნაკადები და საბჭოთა მემკვიდრეობით გაძლიერებული არაფორმალური ქსელები.

მთავარი განსხვავება რეგიონალიზმსა და რეგიონალიზაციას შორის არის ის, რომ პირველი განპირობებულია სახელმწიფო პოლიტიკით ან სახელმწიფოს ან სახელმ-წიფოთა ჯგუფის მიერ შეგნებული ქმედებებით; ამის საპირისპიროდ, რეგიონალიზაცია მიდრეკილია ავტონომიური ეკონომიკური ან სოციალური პროცესებით. თუმცა, მიუხედავად გეოპოლიტიკური ძვრებისა, რომელიც ბოლო წლებში ფართო სამხრეთ კავკასიის რეგიონში ხდებოდა, დღემდე მცირე ნიშანია იმისა, რომ ეს დინამიკა ახალ ენერგიას შესძენს ნამდვილ რეგიონულ თანამშრომლობას.

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების გაერთიანება

არ არის აუცილებელი, ომმა და ძალადობამ მხოლოდ მტრობა წარმოშვას: ევროპის მაგალითი და ევროკავშირის შექმნა სწორედ ამ პოზიტიურ დინამიკას ასახავს, როდესაც ომმა შეიძლება რეგიონული ინიციატივების განვითარებას შეუწყოს ხელი. ევროკავშირი ასევე ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეუძლია რეგიონალიზმს იმოქმედოს, როგორც მექანიზმმა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად და ყოფილი მოწინააღმდეგეების ერთმანეთთან დასაკავშირებლად. 1951 წელს, თავდაპირველად „ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული თანამეგობრობის“ (ECSC) ინიციატივის თავდაპირველი მიზანი იმის უზრუნველყოფა იყო, რომ არც ერთ ქვეყანას არ შესძლებოდა იარაღის წარმოება, რაც ომს „არა მხოლოდ წარმოუდგენელს, არამედ მატერიალურად შეუძლებელსაც“ კი ხდიდა (The Schuman Declaration 1950). ათწლეულების განმავლობაში იგი ფოკუსირებული იყო სტაბილურობის შენებაზე ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში თანამშრომლობისა და ინტეგრაციის გზით, რაც აირეკლავდა ნეოფუნქციონალიზმის თეორიას, იდეას, რომ ინტეგრაცია შეზღუდულ ფუნქციურ (ან ეკონომიკურ) სფეროებში ქმნის დინამიკას შემდგომი ინტეგრაციისკენ სხვა სფეროებში (Mitrany 1975).

ნიკოლ ფაშინიანის მიერ 2023 წელს წარდგენილი „მშვიდობის გზაჯვარედინის“ შეთავაზება სწორედ ამ ნეოფუნქციონალისტურ აზროვნებაზე მიანიშნებდა, რაც რეგიონში დინამიკური სიტუაციის სტაბილიზაციის მცდელობის პერსპექტივას აჩენს - სამ სახელმწიფოს შორის შეზღუდული ეკონომიკური თანამშრომლობისა და ინტეგრაციის ძიების გზით. მიუხედავად იმისა, რომ ერთის მხრივ, რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა მთელი ისტორიის განმავლობაში გამოწვევებს ქმნიდა, იგი რეგიონის სახელმწიფოებს ასევე სთავაზობს გარკვეულ უპირატესობას გლობალიზებულ სამყაროში. მას ხშირად აღწერენ, როგორც გზაჯვარედინს ან სახმელეთო ხიდს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, მთავარ დამაკავშირებელ რგოლს აზიელ მწარმოებლებსა და დასავლურ ბაზრებს შორის. სამ სახელმწიფოს შეუძლია კიდევ უფრო გააქტიუროს თავისი გეოგრაფიული პოზიცია, როგორც ხიდმა ევროპასა და აზიას შორის ინფრასტრუქტურული და დამაკავშირებელი პროექტების კუთხით, - რამაც, თავის მხრივ, შეიძლება გააცოცხლოს რეგიონული თანამშრომლობა. ინფრასტრუქტურული პროექტების ერთ-ერთი უპირატესობა ის არის, რომ გაცილებით დიდი როლი აქვთ კერძო კომპანიებსა და, შესაბამისად, ავტონომიურ ეკონომიკურ პროცესებს, ვიდრე მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკას.

დღემდე, სამხრეთ კავკასიაში ინფრასტრუქტურის განვითარება ორიენტირებულია ნავთობისა და გაზსადენების განვითარებაზე, რამაც რეგიონის სახელმწიფოები ერთმანეთთან დააკავშირა, როგორც ფიზიკურად, ასევე პოლიტიკურად და ეკონომიკურად, რაც ხელს უწყობს რეგიონალიზმის განვითარებას.

მილსადენები ფიზიკურად აკავშირებს სახელმწიფოებს, რაც საჭიროებს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას ყველა დონეზე. ამდენად, ენერგეტიკა სამხრეთ კავკასიაში მზარდი რეგიონალიზმის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო, რასაც მოწმობს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სტრატეგიული პარტნიორობა და მათი თანამშრომლობა საექსპორტო მილსადენების პროექტებზე. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მილსადენები (და სხვა ინფრასტრუქტურა) ფიზიკურად აკავშირებს სახელმწიფოებს, რაც მოითხოვს თანამშრომლობას, ეს პოლიტიკურ რეალობასაც აირეკლავს: მიუხედავად იმისა, რომ მილსადენი წარმოადგენს უმოკლეს (და, შესაბამისად, ყველაზე იაფ) მარშრუტს კასპიის ზღვიდან თურქეთამდე, სომხეთი, - აზერბაიჯანთან და თურქეთთან მისი დავების გამო, - ამ სცენარიდან ამორიცხულია.

სამხრეთ კავკასიაში ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ ამჟამად ყურადღება გამახვილებულია სატრანსპორტო ინიციატივებზე, როგორიცაა აღმოსავლეთ-დასავლეთის სარკინიგზო ტრანზიტი, საქონლის გადატანა აზიიდან დასავლეთის ბაზრებზე. ეს ემთხვევა როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანის ამბიციებს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ თავი დაემკვიდრებინათ როგორც მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძებს ევროპასა და აზიას შორის. ეს მიზანი გაძლიერდა 2017 წელს ბაქო-თბილისი-ყარსის (BTK) სარკინიგზო ხაზის გახსნით, რამაც აზერბაიჯანი საქართველოსა და თურქეთს დაუკავშირა. ახლახან მოხდა მარშრუტის მონაკვეთის მოდერნიზება, რათა გაზარდოს მისი გამტარუნარიანობა წელიწადში ერთი მილიონი ტონიდან ხუთ მილიონამდე, რაც გაზრდის ტვირთის გადაზიდვას აზიასა და ევროპას შორის. BTK არის ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის (TITR) ნაწილი, - ნაწილი ამ 6500-კილომეტრიანი მულტიმოდალური მარშრუტისა, რომელიც აკავშირებს ჩინეთს, ყაზახეთს, აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს რკინიგზითა (მათ შორის BTK) და ბორნით. იგი ასევე წარმოადგენს შუა დერეფნის სატრანზიტო მარშრუტის ნაწილს - გზას აზიიდან ევროპაში, რომელიც ბევრად უფრო მიმზიდველი გახდა მას შემდეგ, რაც რუსეთის შეჭრამ უკრაინაში შეარყია ჩრდილოეთ სატრანზიტო მარშრუტის სიცოცხლისუნარიანობა. 2023 წელს TITR-მა 2.8 მილიონი ტონა ტვირთი გადაიტანა, რაც 2022 წელთან შედარებით 86 პროცენტით იყო გაზრდილი; [ფართო რეგიონის ქვეყნები] იმედოვნებენ, რომ მარშრუტი 2024 წელს გაუმკლავდება 4 მილიონ ტონას, რაც საშუალოვადიან პერსპექტივაში, 2030 წლისთვის, 10 მილიონ ტონამდე გაიზრდება, - როგორც ამას მსოფლიო ბანკი (2023) პროგნოზირებს.

2024 წლის მაისში გამოცხადდა, რომ ჩინეთის კონსორციუმი იყო ერთადერთი პრეტენდენტი, რომელმაც ანაკლიაში, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის განვითარებაზე კონტრაქტის დადება მოისურვა. იმედოვნებენ, რომ პორტის განვითარება საშუალებას მისცემს მას, გახდეს სტრატეგიული სავაჭრო ცენტრი ჩინეთსა და ევროპას შორის, როგორც შუა დერეფნის ნაწილი, - მიუხედავად იმისა, რომ მისი განვითარების წინა გეგმები სკანდალში გაიბლანდა. ღრმაწყლოვანი პორტი საქართველოს უფრო დიდი გემების მიღების საშუალებას მისცემს, რაც გაზრდის აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძის გასწვრივ ტრანსპორტირების მოცულობას. თუმცა, არსებობს გარკვეული შეშფოთება რეგიონში ჩინეთის გალიერებული როლის გამო, განსაკუთრებით მისი მზარდი კავშირების შესახებ საქართველოსთან. გავრცელებული ინფორმაციით, პორტის განვითარებაში ჩართული ყველა კომპანია არის ჩინეთის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიები, რომლებსაც, მართალია, აქვთ დიდი გლობალური გამოცდილება, თუმცა არაერთ საერთაშორისო სკანდალში არიან გახვეულები (Standish & Pertaia 2024).

BTK წარმოჩენილია, როგორც წარმატებული რეგიონული თანამშრომლობის მაგალითი - აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე რკინიგზას აღწერენ, როგორც „ჩვენს მიღწევებს შორის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულს“, რომელიც „მრავალ ერს შორის კავშირებადობის პერსპექტივას აჩენს“ (Government of Georgia 2023). გარდა ამისა, 2017 წელს სარკინიგზო ხაზის გახსნის ღონისძიებაზე, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ მარშრუტს შეუძლია ხელი შეუწყოს „პოლიტიკურ მშვიდობას, უსაფრთხოებას, სტაბილურობასა და სოციალურ კეთილდღეობას“ (Güder 2017). თუმცა, სომხეთი კვლავაც გარიყულია ტრანსრეგიონული ინფრასტრუქტურული პროექტების უმრავლესობისგან, რაც სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ დინამიკას აირეკლავს და ძირს უთხრის ერდოღანის განცხადებებს, რომ ასეთ პროექტებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ მშვიდობასა და სტაბილურობას.

საბჭოთა ეპოქის სარკინიგზო ხაზების აღდგენას აზერბაიჯანსა და მის ექსკლავ ნახიჭევანს შორის შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს სამხრეთ კავკასიის კავშირებადობა. „ზანგეზურის დერეფნის“ ხელახალი გახსნა შეამცირებს ტრანზიტის დროს აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის. მან შეიძლება ასევე მიგვიყვანოს სარკინიგზო ხაზის აღდგენამდე სომხეთსა და ირანს შორის, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო დერეფნის განვითარებას, რომელიც აკავშირებს სპარსეთის ყურეს შავ ზღვასთან. თუმცა, სანამ ეს მარშრუტი სომხეთის ტერიტორიას გადაკვეთს, აზერბაიჯანი ცდილობს მოიპოვოს ექსტრატერიტორიული უფლებები მისი ექსპლუატაციისთვის, რასაც ერევანი ეწინააღმდეგება. ანკარასა და ბაქოს სურთ, რომ ეს მარშრუტი ამოქმედდეს - ეკონომიკური სარგებლის გამო. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის 2020 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება კონკრეტულად ეხება სატრანსპორტო კავშირებს და 2023 წლის ბოლოს ალიევმა განაცხადა, რომ ზანგეზურის დერეფანი გადამწყვეტი ნაბიჯია საიმისოდ, რომ სომხეთთან საზღვრები გაიხსნას (Aze.-Media 2024). თუმცა, არც ერთი მხარე არ ენდობა მეორეს, რაც ხელს უშლის შეთანხმებას. მეორე ვარიანტი, „არასის დერეფანი“, მთლიანად გვერდს აუვლის სომხეთს, გაივლის ირანზე და აზერბაიჯანს ასე დააკავშირებს სპარსეთის ყურესთან და შავ ზღვასთან. 2023 წლის მარტიდან 2024 წლის თებერვლამდე ირანსა და აზერბაიჯანს შორის სარკინიგზო გადაზიდვები 28 პროცენტით გაიზარდა, ნაწილობრივ რუსეთზე დაწესებული სანქციებისა და სავაჭრო შეზღუდვების გავლენის გამო, რამაც აიძულა ქვეყნები ეძიათ ალტერნატიული მარშრუტები ევროპულ ბაზრებზე წვდომისთვის (van der Laan 2024).

მართალია, სომხეთი რჩება აღმოსავლეთ-დასავლეთის ტრანსნაციონალური ინფრასტრუქტურული კავშირებადობის პროექტებს მიღმა, ჩრდილოეთ-სამხრეთის საგზაო დერეფნის მშენებლობა გააძლიერებს მის კავშირებს გლობალურ ეკონომიკასთან, დააკავშირებს სომხეთს საქართველოს შავი ზღვის პორტებთან, რაც ხელს შეუწყობს უკეთეს წვდომას საერთაშორისო და რეგიონულ ბაზრებთან და წაახალისებს უფრო დიდი ტრანსსასაზღვრო კავშირის შექმნას. ერევანმა ასევე გააცოცხლა გიუმრის მახლობლად დაფუძნებული მშრალი პორტის განვითარების გეგმა, რაც ქვეყანას სამხრეთ კავკასიის მასშტაბით გამავალ სავაჭრო დერეფნებთან კავშირის საშუალებას მისცემს. გავრცელებული ინფორმაციის (Beson 2024) თანახმად, მთავრობა ცდილობს სომხეთის გარდაქმნას „ტრანზიტულ, სატრანსპორტო და ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოო ჰაბად“ თავისუფალი სავაჭრო ზონის დაარსებით, რომელიც აღჭურვილი იქნება მულტიმოდალური - საჰაერო, სარკინიგზო და სატვირთო გადაზიდვების საშუალებებით, რაც დაკავშირებული იქნება საწყობებთან და სამრეწველო პარკებთან.

და საქმე მხოლოდ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში არ არის. არსებობს ამბიციური გეგმები, რომ საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელების ევროპასთან დააკავშიროს შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის მეშვეობით, - 1195 კმ სიგრძის წყალქვეშა კაბელით, რომელიც გაივლის შავი ზღვის ქვეშ ანაკლიიდან კონსტანცამდე, რუმინეთამდე (Gutbrod 2023). ეს გაზრდიდა ევროპის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, რაც საშუალებას მისცემდა მას განახორციელოს საქართველოდან, განახლებადი წყაროებიდან გამომუშავებული ელექტროენერგიის იმპორტი, - რამეთუ საქართველოს მნიშვნელოვანი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი აქვს: ჰიდროენერგეტიკა შეადგენს ქვეყნის წარმოების სიმძლავრის 80%-ზე მეტს და მისი ენერგიის გამომუშავების 75-დან 90-მდე პროცენტს. თუმცა, პროექტის მასშტაბები რთულად მისაღწევად გამოიყურება: ამჟამად არ არსებობს შემოთავაზებული კაბელის სიგრძის წყალქვეშა კაბელი; ასევე იგეგმება სომხეთიდან მომავალი სატელეკომუნიკაციო კაბელების საქართველოდან ევროპაში წყალქვეშა გზით გაშვება (European Investment Bank 2023).

2023 წლის ოქტომბერში თბილისში, „აბრეშუმის გზის“ ფორუმზე გამოსვლისას, ნიკოლ ფაშინიანმა წარმოადგინა თავისი გეგმა რეგიონული თანამშრომლობისთვის, რომელიც ფოკუსირებულია კავშირებადობასა და სამხრეთ კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობის კაპიტალიზაციაზე. სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ახალი სატრანზიტო მარშრუტების განვითარება რეგიონის ყველა ქვეყნისთვის მომგებიანად შეაფასა. მისი „მშვიდობის გზაჯვარედინის“ ინიციატივა ითვალისწინებს აზერბაიჯანთან და თურქეთთან სახმელეთო საზღვრების გახსნას სომხეთის მიერ, ასევე, ითვალისწინებს დამატებით სატრანზიტო მარშრუტებს ამ საზღვრების გადაკვეთით - გადაკვეთის წერტილებში სასაზღვრო გამშვები პუნქტების ამუშავებით - ასევე, სარკინიგზო მარშრუტების აღდგენას სომხეთიდან ნახიჩევანისა და თურქეთის მიმართულებით, რაც ზანგეზურის მარშრუტის ალტერნატივას წარმოადგენს (Mandaria 2023). ამ გეგმის ძირითადი ელემენტები მოიცავს სარკინიგზო ინფრასტრუქტურის, ნავთობსადენების და ელექტროგადამცემი ქსელების განვითარებას, რაც, გეგმის თანახმადვე, უნდა დარჩეს იმ ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ, სადაც ისინი გადის. ხაზს უსვამს რა რეგიონში მშვიდობის აუცილებლობას, პაშინიანის გეგმა აქცენტს სვამს ეკონომიკური კავშირებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ცენტრალურ როლს ჭეშმარიტი რეგიონული თანამშრომლობის განვითარებაში, - რაც სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს მოიცავს.

რეგიონული დინამიკა და რუსეთის შეჭრა უკრაინაში

2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის შეჭრამ გამოიწვია დრამატული ცვლილება საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოების გარემოში, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ცვლილებები სამხრეთ კავკასიაში მოქმედი აქტორების ძალაუფლებასა და გავლენებში. მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან რუსეთი ტრადიციულად დომინანტური ძალა იყო რეგიონში, ომმა ეს ვითარება შეცვალა, - ომმა ეჭვქვეშ დააყენა კრემლის ჰეგემონური პოზიცია და სხვა მოთამაშეთა გაჩენას შეუწყო ხელი.

ყველაზე დრამატული ცვლილება რუსეთ-სომხეთის ურთიერთობებში მოხდა: ოდესღაც სომხეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორი და მისი უსაფრთხოების გარანტორი რუსეთი ახლა აღიქმება არასაიმედო მეზობლად, რომელმაც ვერ შეეძლო (ან არ სურდა) დახმარებოდა თავის მოკავშირეს საჭიროების შემთხვევაში, რის გამოც ერევანი ცდილობს თავისი პოლიტიკის „დე-რუსიფიკაციას“. რუსეთის გარშემო გაერთიანებული „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციამ“ (CSTO) ასევე გამოავლინა უძლურება და უარი თქვა სომხეთის დახმარებაზე, როდესაც აზერბაიჯანის ძალებმა დაბომბეს მისი ტერიტორია 2022 წლის სექტემბერში - მიუხედავად ორგანიზაციის წევრების ვალდებულებისა ურთიერთდახმარების შესახებ. 2023 წლის სექტემბერში ფაშინიანმა დახატა მკვეთრი არჩევანი სომხეთისთვის (Prime Minister of the Republic of Armenia 2023): მისი აზრით, ქვეყანა შეიძლება იყოს ან სუვერენული, თავისუფალი და დემოკრატიული დამოუკიდებელი სახელმწიფო, ან „შეშინებული პროვინცია“.

რეგიონში მოსკოვის აშკარა უინტერესობისა და უძლურების გამოვლინებისგან განსხვავებით - მოსკოვისა, რომელიც, როგორც ჩანს, შეელია „უსაფრთხოების გარანტორის“ პოზიციას სამხრეთ კავკასიაში - ევროკავშირმა 2022 წლიდან გააძლიერა თავისი პოზიცია რეგიონში. იგი ჯერ გამოჩნდა, როგორც ალტერნატიული შუამავალი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რაც ასახავს მის სურვილს, უზრუნველყოს უსაფრთხოება და სტაბილურობა საკუთარ პერიფერიაში, და ასევე ასახავს სურვილს, რომ გაზარდოს ბუნებრივი აირის იმპორტი ალტერნატიული მიმწოდებლებისგან (ამ შემთხვევაში აზერბაიჯანისგან), რაც უზრუნველყოფს რუსეთის გავლენის შემცირებას.

დასავლელი აქტორები ასევე აქტიურად ცდილობენ შეარყიონ რუსეთის როლი რეგიონში: 2024 წლის აპრილში ევროკავშირმა და აშშ-მა შესთავაზეს ერევანს 350 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების კომბინირებული ეკონომიკური დახმარების პაკეტი, რომელიც, ნაწილობრივ, მიზნად ისახავს დაეხმაროს ქვეყანას რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირებაში. ერთობლივ განცხადებაში ორივემ აღიარა „არსებითი პროგრესი“, რასაც სომხეთმა მიაღწია 2018 წლიდან მოყოლებული დემოკრატიული და მართლმსაჯულების რეფორმის მიმართულებით. აშშ-მა და ევროკავშირმა ასევე გამოხატეს მზადყოფნა, გააგრძელონ სომხეთის მხარდაჭერა, „რადგან ეს კიდევ უფრო აძლიერებს მის დემოკრატიას და კანონის უზენაესობას, ჩვენი საერთო ღირებულებებისა და პრინციპების შესაბამისად. “ (Avetisyan 2024). საფრანგეთმა ასევე დაადასტურა სომხეთის მხარდაჭერა, რამაც აზერბაიჯანთან მისი ურთიერთობები დაძაბა.

სხვა მოთამაშეებიც უფრო მეტად ჩაერთნენ სამხრეთ კავკასიაში. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ყოფნა შესამჩნევად გაიზარდა 2020 წლის ყარაბაღის ომის შემდეგ, გაზრდილმა ფოკუსმა შუა დერეფანზე, როგორც 2022 წლის შემდეგ აზიიდან ევროპისკენ მთავარ სატრანზიტო მარშრუტზე, კიდევ უფრო გაზარდა ანკარის მნიშვნელობა და გავლენა. ირანიც ცდილობდა სომხეთთან ურთიერთობის გამყარებას, ამავდროულად კი რუსეთთან ურთიერთობების განვითარებას, განსაკუთრებით თავდაცვის სფეროში. დაბოლოს, ზოგიერთი ანალიტიკოსი მიუთითებს სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკის „ისტერნიზაციაზე“, - „აღმოსავლეთიზაციაზე“, - რეგიონის სახელმწიფოების ჩინეთთან და ინდოეთთან მზარდი კავშირების გათვალისწინებით. სამივე სახელმწიფოშია გაზრდილი ჩინური ინვესტიციები ტრანსნაციონალურ ინფრასტრუქტურულ პროექტებში. გასული წლის განმავლობაში პეკინმა თბილისთან გააფორმა სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება, რომელიც მოიცავს პოტენციურ ინვესტიციებს ძირითად ინფრასტრუქტურულ პროექტებში - განსაკუთრებით ანაკლიის პორტში შავ ზღვაზე; ამასთან, ორმა ქვეყანამ შემოიღო უვიზო რეჟიმი თავიანთი მოქალაქეებისთვის.

ჩინეთი წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვან წყაროს, რომელსაც არც რუსეთის იძულების ძაფები მოჰყვება და არც დასავლეთის დათქმები. ამგვარად, ჩინეთის ჩართულობა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს აძლევს სტრატეგიულ ბერკეტს, - სთავაზობს მათ რუსეთის დომინირების საპირწონედ ბერკეტს - და, ამავდროულად, ძირს უთხრის დასავლეთის გავლენას. ჩინეთის მზარდი ყოფნა რეგიონში სასარგებლოა ორივე მხარისთვის. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს დივერსიფიკაციას სთავაზობს, ხოლო პეკინს სძენს კავშირს ევრაზიის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და დამატებით წვდომას ევროპულ ბაზრებზე. რეგიონში უფრო აქტიური ხდება ინდოეთიც, რომელიც ერევანთან აფორმებს თავდაცვით სფეროში კონტრაქტების მთელ რიგს, თუმცა ის ასევე არის აზერბაიჯანის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი. ამრიგად, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომმა კარი გაუხსნა ისეთ არარეგიონულ ძალებს, როგორებიცაა ჩინეთი და ინდოეთი, გაეფართოვებინათ თავიანთი ორმხრივი კავშირები რეგიონში, გადაენაცვლებინათ გეოპოლიტიკური ტრაექტორია რუსეთ-დასავლური ბინარულობიდან, რაც ამდენი ხნის განმავლობაში დომინირებდა. მაგრამ, ეს ყველაფერი, ამა დროს, ქმნის არალიბერალური პრაქტიკისა და ავტორიტარული ძალების გაძლიერების რისკებს. და სწორედ ამ არალიბერალური შემობრუნებით უფრო მეტად შეიძლება განისაზღვროს რეგიონული ერთიანობა, ვიდრე ინტეგრაციის ნებისმიერი პოზიტიური დინამიკით.

ლიბერალიზმზე წნეხის გამო მთელ კავკასიაში პოლიტიკური გარემო სულ უფრო არასახარბიელო ხდება, რაც უფრო ფართო გლობალურ ტენდენციებს ასახავს. ბოლო თვეების განმავლობაში აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა და მისმა რუსმა კოლეგამ ვლადიმერ პუტინმა მეხუთე ვადით მოიპოვეს თანამდებობები, თურქეთში კი პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი აგრძელებს ძალაუფლების კონსოლიდაციას. საქართველოს ავტორიტარული შემობრუნების საფრთხე ემუქრება, რაც ეწინააღმდეგება როგორც მის დეკლარაციულ ერთგულებას ევროინტეგრაციისადმი, ასევე სახალხო განწყობებს. Freedom House-ის ყოველწლიურ ანგარიშში პოლიტიკური თავისუფლების მდგომარეობის შესახებ ევროპისა და ცენტრალური აზიის მთელ რიგ ქვეყნებში, Nations in Transit 2024 (Smeltzer & Karppi 2024), კოალიცია „ქართული ოცნება“ დადანაშაულებულია დემოკრატიზაციის ჩიხში შეყვანასა და „ნახევრად კონსოლიდირებული ავტორიტარული რეჟიმის“ შექმნაში.

საქართველოს ევროპეიზაციის გზას საფრთხე ემუქრება, განსაკუთრებით უცხოელი აგენტების შესახებ კანონის შემოღებით, რომელიც ევროპის საბჭოს საკონსტიტუციო სამართლის უმაღლესმა ორგანომ, ვენეციის კომისიამ, დაახასიათა, როგორც „ანტიდემოკრატიული“, რომელსაც აქვს „ბევრი მსგავსება“ რუსეთის, უნგრეთის და ყირგიზეთის კანონებთან (Gavin 2024).

ამის საპირისპიროდ, დემოკრატიული განახლება მოხდა სომხეთში, რომელიც ცდილობს, გააუმჯობესოს ურთიერთობები დასავლურ ძალებთან და შეამციროს დამოკიდებულება რუსეთზე. სამი სახელმწიფო, როგორც ჩანს, სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულებით მოძრაობს და მმართველობის სხვადასხვა მოდელს მისდევს. ამავდროულად, რუსეთზე დამოკიდებულების შემცირების მცდელობის მიუხედავად, სომხეთსაც და საქართველოსაც 2022 წლიდან ჩრდილო მეზობელზე ეკონომიკური დამოკიდებულება გაეზარდათ.

ამრიგად, ომმა კიდევ უფრო გაამძაფრა სამხრეთ კავკასიის პოლარიზაცია, - როგორც სახელმწიფოებს შორის, ისე მათს შიგნით. ეს ყველაზე ცხადად საქართველოში გამოჩნდა, როდესაც ქვეყანამ უარი განაცხადა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებაზე. ომმა გამოავლინა რუსეთისა და ევროპის ზღურბლზე მდებარეობის სირთულეები იმ დროს, როდესაც სახელმწიფოებისგან მოელიან, რომ მხარე უნდა აირჩიონ.

დაბრკოლებები მდგრადი მშვიდობისა და სტაბილურობისთვის

თუ მიმდინარე ტენდენციები გაგრძელდება, არსებობს საფრთხე, რომ სამხრეთ კავკასია „გაერთიანდეს“ არალიბერალურ, ავტორიტარულ რეგიონალიზმში, რაც ეჭვქვეშ დააყენებს არსებული ლიბერალური მულტილატერალური ორგანიზაციების ეფექტურობას, როგორიცაა, მაგალითად, ევროკავშირი. გეოგრაფიას აქვს მნიშვნელობა. სახელმწიფოებს არ შეუძლიათ, შეცვალონ თავიანთი სამეზობლო: სამხრეთ კავკასია მდებარეობს რთულ სამეზობლოში, რომელიც მოიცავს უფრო ფართო შავი ზღვის რეგიონს და ახლო აღმოსავლეთს, - სადაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ომი ვიხილეთ - ასევე რუსეთის, თურქეთისა და ირანს რეგიონულ ძალებს. ეს სამი სახელმწიფო უპირატესობას ანიჭებს რეჟიმის უსაფრთხოებას და გავლენის სფეროების კონტროლს, რადგან ისინი ცდილობენ დაუპირისპირდნენ აშშ-ს ჰეგემონიასა და დასავლეთის გავლენას საკუთარ სამეზობლოში.

ყველაზე დიდი დაბრკოლება, რომელიც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს წარმატებული თანამშრომლობისა და ინტეგრაციის განვითარებაში უშლის ხელს, არის ნდობის არარსებობა, რაც ფუნდამენტურ აუცილებლობას წარმოადგენს როგორც ომის შესაწყვეტად, ასევე შემდგომში მშვიდობის მშენებლობისათვის.

დასკვნა და რეკომენდაციები

უკრაინაში რუსეთის ომმა გააძლიერა სამხრეთ კავკასიაში დიდი ხნის განმავლობაში არსებული ტენდენციები, გაამძაფრა ისტორიული და პოლიტიკური განხეთქილებები და გაზარდა პოლარიზაცია რეგიონში. ეს ართულებს უახლოეს მომავალში სამივე სახელმწიფოს ჩართულობით წარმატებული სამმხრივი რეგიონული ინიციატივების განვითარებას.

1. ***სამმა სახელმწიფომ უნდა განაგრძოს რეგიონის გეოგრაფიულ მდებარეობაზე კაპიტალიზაცია, განახორციელოს ინფრასტრუქტურული და კავშირებადობის პროექტები, რომლებიც ყველასთვის სასარგებლოა. შეზღუდული ფუნქციონალური თანამშრომლობის ხელშეწყობა უთიერთსასარგებლო ეკონომიკურ სფეროებში შეიძლება დაკავშირებული იყოს ნდობის აღდგენის ზომებთან და შესაძლოა შექმნას დინამიკა სხვა სფეროებში შემდგომი თანამშრომლობისთვის. კრიტიკულად მნიშვნელოვანია კერძო კომპანიებისა და ქვემოდან წამოსული პროცესებში უფრო მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა, ვიდრე მხოლოდ სახელმწიფოს მიერ წარმართულ საქმიანობაზე დაყრდნობა.***

2. ***რეგიონულ მოთამაშეთა საზრუნავი ჩარჩოს აყალიბებს მოწინააღმდეგის (ან მოკავშირის) სანდოობასთან დაკავშირებით არსებული ეჭვები, რაც ძალიან ართულებს კონფლიქტისა და არასტაბილურობის გამომწვევ ფაქტორებთან ბრძოლას. პრიორიტეტული უნდა იყოს ნდობისა და ნდობის აღდგენის ღონისძიებების განვითარება რეგიონულ ფორმატში, რაც უზრუნველყოფს, რომ სახელმწიფოებმა განახორციელონ თავიანთი სტრატეგიული მიზნები თანამშრომლობისა და კონსენსუსის გზით და არა იძულებით, შეზღუდულ ფუნქციურ სფეროებში თანამშრომლობის გამოყენებით, რათა სხვა სფეროებში ინტეგრაციის გაღრმავება მოახდინონ.***

3. ***მულტილატერალურ ორგანიზაციებს, როგორიცაა ევროკავშირი, შეუძლიათ აღნიშნულ სახელმწიფოებს შესთავაზონ თავიანთი მხარდაჭერა და ექსპერტიზა, რათა უზრუნველყონ, რომ ანტილიბერალიზმისკენ შემობრუნება არ დაჩქარდეს და არ გამყარდეს. ასეთმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იყვნენ თანმიმდევრულნი თავიანთ პოზიციებსა და სიგნალებში როგორც პარტნიორ, ასევე ასპირანტი ქვეყნების მიმართ. მათ ასევე უნდა მოარგონ თავიანთი დახმარება თითოეული ქვეყნის საჭიროებებს, მათი დემოკრატიული ტრაექტორიის მიხედვით.***

სამხრეთ კავკასია იქცა მულტიპოლარული საერთაშორისო წესრიგის მიკროკოსმოსად, სადაც სხვადასხვა, ადგილობრივი, რეგიონული თუ გლობალური ძალების ინტერესები იკვეთება. საერთაშორისო ყურადღება სამართლიანად არის ორიენტირებული უკრაინაში არსებულ ვითარებაზე, მაგრამ გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ცვალებად დინამიკას კავკასიასა და უფრო ფართო შავი ზღვის რეგიონში: აქ წარმოქმნილმა ახალმა გეოპოლიტიკურმა რეალობამ შესაძლოა, შექმნას რეგიონული და გლობალური უსაფრთხოების გარემო, რაც უახლოესი მომდევნო წლების განმავლობაში შეიძლება შენარჩუნდეს.

References

Avetisyan, Ani. 2024. 'European Union, United States woo Armenia with economic assistance package' Eurasianet, April 8, 2024. ხელმისაწვდომია: https://eurasianet.org/europe-an-union-united-states-woo-armenia-with-economic-assistance-package

Aze.Media. 2024. 'President of Azerbaijan Ilham Aliyev was interviewed by local TV channels' January 11, 2024. ხელმისაწვდომია:https://aze.media/president-of-azerbaijan-il-ham-aliyev-was-interviewed-by-local-tv-channels/

Benson, Brawley. 2024. 'Armenia: Pressing ahead with a dry port concept' Eurasianet, March 13, 2024. ხელმისაწვდომია:https://eurasianet.org/armenia-press-ing-ahead-with-a-dry-port-concept

Broers, Laurence. 2018. 'The South Caucasus: Fracture without End?' in Russia Abroad: Driving regional fracture in post-communist Eurasia and beyond, edited by Anna Orhanyan, 81-102. Washington DC: Georgetown University Press.

Eldem, Tuba. 2022. 'Russia's War on Ukraine and the Rise of the Middle Corridor as a Third Vector of Eurasian Connectivity' SWP Comment, No 64, October 2022. ხელმისაწვდომია:https://ww-w.swp-berlin.org/publications/products/comments/2022C64_MiddleCorridor.pdf

European Investment Bank. 2023. 'Black Sea Digital Connectivity' Summary Sheet, March 14, 2023. ხელმისაწვდომია:https://www.eib.org/en/projects/all/20210614

Gavin, Gabriel. 2024. 'Don't pass 'foreign agent' law, top European legal body tells Georgia' Politico, May 21, 2024. ხელმისაწვდომია: https://www.politico.eu/article/georgia-europe-geor-gian-dream-party-foreign-agent-law-venice-commission-reports/

Government of Georgia. 2023. 'Joint Media Statements by President of Azerbaijan and Prime Minister of Georgia'. March 16, 2024. ხელმისაწვდომია:https://www.gov.ge/print.php?g-g=1&sec_id=603&info_id=87841&lang_id=ENG

Güder, İlkay. 2017. 'Cumhurbaşkanı Erdoğan: Bakü-Tiflis-Kars Demiryolu hattı kararlılığımızın eseri', Anadolu Agency, October 30, 2017. ხელმისაწვდომია:https://www.aa.com.tr/tr/-dunya/cumhurbaskani-erdogan-baku-tiflis-kars-demiryolu-hatti-kararliligimizin-eseri/951460

Gutbrod, Hans. 2023. 'The Black Sea Submarine Cable Project: Update from Tbilisi' German Economic Team, NL 52, May-June 2023. ხელმისაწვდომია:https://www.german-econom-ic-team.com/en/news-letter/the-black-sea-submarine-cable-project-update-from-tbilisi/#:~:text=The%20Black%20Sea%20Submarine%20Cable%20Project%20currently%20is%20a%20major,for%20the%20project%20is%20high.

Hurrell, Andrew. 1995. 'Regionalism in Theoretical Perspective' in Regionalism in World Politics, edited by Louise Fawcett & Andrew Hurrell. Oxford: Oxford University Press.

van der Laan, Dennis. 2024. 'Rail freight volumes between Iran and Azerbaijan grow by 28%' RailFreight.com, March 1, 2024. ხელმისაწვდომია:https://www.railfreight.com/rail-freight/2024/03/01/rail-freight-volumes-between-iran-and-azerbaijan-grow-by-28/?gdpr=deny&gdpr=accept

Mandaria, Tornike. 2023. ‘Armenia unveils Crossroads of Peace initiative as Silk Road forum kicks off in Georgia’ BNE Intellinews, October 27, 2023. ხელმისაწვდომია:https://www.intellinews.com/armenia-unveils-crossroads-of-peace-initiative-as-silk-road-forum-kicks-off-in-georgia-298777/

Mandaria, Tornike. 2024. ‘Chinese consortium to build a deep-sea port in Anaklia, Georgia’ BNE Intellinews, May 31, 2024, ხელმისაწვდომია:https://www.intellinews.com/chinese-consortium-to-build-a-deep-sea-port-in-anaklia-georgia-327723/

Mitrany, David. 1975. The Functional Theory of Politics. London: Martin Robertson, for the London School of Economics and Political Science.

Nye, Joseph S. 1973. ‘Regional Institutions’ in Regional Politics and World Order, edited by Richard A Falk & Saul H Mendovitz. San Francisco: WH Freeman & co.

Prime Minister of the Republic of Armenia. 2023. ‘Prime Minister Nikol Pashinyan’s message about Independence’, September 24, 2023. ხელმისაწვდომია:https://www.primeminister.am/en/statements-and-messages/item/2023/09/24/Nikol-Pashinyan-messages/

The Schuman Declaration. 1950. 9 May, ხელმისაწვდომია:https://european-union.europa.eu/principles-countries-history/history-eu/1945-59/schuman-declaration-may-1950_en

Smeltzer, Mike & Karppi, Alexandra. 2024. ‘Nations in Transit 2024’, Freedom House, ხელმისაწვდომია:https://freedomhouse.org/report/nations-transit/2024/region-reordered-autocracy-and-democracy

Standish, Reid & Pertaia, Luka. 2024. ‘The Controversial Chinese Firms That Will Build Georgia’s Black Sea Megaproject’ Radio Free Europe/Radio Liberty, May 3,1 2024. ხელმისაწვდომია:https://www.rferl.org/a/anaklia-china-georgia-companies-port/32974215.html

World Bank. 2023. ‘The Middle Trade and Transport Corridor: Policies and Investments to Triple Freight Volumes and Halve Travel Time by 2030’. November 27, 2023. ხელმისაწვდომია:https://www.worldbank.org/en/region/eca/publication/middle-trade-and-transport-corridor

Georgian Institute of Politics (GIP)

13 Alexander Pushkin Str.
0107 Tbilisi, Georgia
+995 599 99 02 12
info@gip.ge www.gip.ge